

**სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი  
ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის  
მოცულობის განაწილება/გადანაწილების  
სპეციალური აუქციონის წესები**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის განაწილება/გადანაწილების სპეციალური აუქციონის წესები (შემდგომში "აუქციონის წესები") შემუშავებულია საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანებით დამტკიცებული "ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების" (შემდგომში "ბაზრის წესები") მოთხოვნათა შესაბამისად.

2. აუქციონის წესები განსაზღვრავს ბაზრის წესების მე-14<sup>1</sup> მუხლის მე-9<sup>1</sup> პუნქტით ელექტროენერჯის ექსპორტის მიზნებისთვის დადგენილი, პრიორიტეტულობის ჯგუფების რიგის მიხედვით სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის ექსპორტიორებს, ასევე ტრანზიტის დამკვეთ პირებს შორის განაწილება/გადანაწილების აუქციონის ჩატარების საფუძვლებს, პირობებს, პროცედურებსა და აუქციონის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხებს.

3. აუქციონის წესების მიზანია სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის ხელმისაწვდომი მოცულობის წინასწარ დადგენილი წესით თანაბარ პირობებში განაწილება.

4. აუქციონის წესები ეფუძნება აუქციონის შედეგების მხარეთათვის სავალდებულოობის პრინციპს, რაც გულისხმობს განაცხადის გამარჯვებულად გამოვლენისთანავე, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის და გამარჯვებული მონაწილეების შესაბამისი ვალდებულებების (აუქციონის წესების და განაცხადის პირობების შესაბამისად) ძალაში შესვლის აუცილებელ პირობას.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

1. აუქციონის წესებში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „პრეტენდენტი“ – ექსპორტიორი ან ტრანზიტის დამკვეთი საწარმო, რომლის განაცხადიც „CAA“-ს მოსაპოვებლად წარმოდგენილი იქნა აუქციონის ვებ-გვერდზე;

ბ) „მონაწილე“ – ექსპორტიორი და ტრანზიტის დამკვეთი საწარმო, რომლის განაცხადიც „CAA“-ზე დარეგისტრირდა ვებ-გვერდზე;

გ) აუქციონი – გულისხმობს აუქციონს, რომელიც ტარდება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე ასეთი საანგარიშო პერიოდის პირველი დღიდან ბოლო დღის ჩათვლით პერიოდისთვის (ან საანგარიშო პერიოდის შიგნით ცალკეული დღეებისთვის) ან რამდენიმე მომდევნო საანგარიშო პერიოდისთვის სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის ხელმისაწვდომი მოცულობის გასანაწილებლად;

დ) განაცხადი – გულისხმობს აუქციონზე მონაწილის შემოთავაზებას გამოსახულს ლარში 1 მგვტ.სთ-ის მოცულობის ელექტროენერჯის გადაცემის უფლების მინიჭებისათვის, რომელიც შედგენილი და წარდგენილი უნდა იყოს აუქციონის წესებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ე) საბოლოო ფასი – გულისხმობს აუქციონის წესების შესაბამისად ჩატარებული ზეპირი ვაჭრობის შედეგად მონაწილის მიერ ლარში დაფიქსირებულ ღირებულებას 1 მგვტ.სთ-ის მოცულობის ელექტროენერჯის გადაცემის უფლების მინიჭებისათვის, რომელსაც იგი გადაიხდის აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში.

ვ) სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის განაწილება/გადანაწილების უზრუნველყოფის დამატებითი საფასური (შემდეგში „საფასური“) – წარმოადგენს აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადასახდელ თანხას, რომელიც გამოითვლება შემდეგი პროცენტის შესაბამისად საბოლოო ფასი გამრავლებული დაკმაყოფილებული მგვტ.სთ-ის მოცულობაზე. ამ წესების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შემთხვევაში, ასეთი მონაწილის მიერ გადასახდელი საფასური განისაზღვრება მის მიერ შემოთავაზებული ფასის ნამრავლით მისთვის დაკმაყოფილებული მგვტ.სთ-ის მოცულობაზე.

ზ) გადაცემის უფლება – გულისხმობს „CAA“-ს სრული მოცულობის ან ნაწილის გამოყენების უფლებას;

თ) გამარჯვებული მონაწილე – არის მონაწილე, რომელმაც მოიპოვა ელექტროენერჯის გადაცემის უფლება აუქციონის შედეგად;

ი) აუქციონის ვებ გვერდი – [www.gse.com.ge](http://www.gse.com.ge);

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს, გააჩნიათ ”ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონითა და ”ბაზრის წესებით” განსაზღვრული მნიშვნელობები.

**მუხლი 3. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით ელექტროენერჯის ექსპორტის უზრუნველსაყოფად პრიორიტეტულობის ჯგუფები და აუქციონის ჩატარების საფუძველი**

1. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით ელექტროენერჯის ექსპორტის უზრუნველსაყოფად პრიორიტეტულობა და უპირატესობა განისაზღვრება ბაზრის წესების 14<sup>1</sup> მუხლის მე-9<sup>1</sup> პუნქტით დადგენილი თანმიმდევრობით.

2. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის აუქციონის წესით გასანაწილებელი მოცულობა ან „CAA” (Capacity for Allocation by Auction) ეტოლება:

ა) საწყის ხელმისაწვდომ მოცულობას (საწყისი ATC) – იმ შემთხვევაში, თუ საწყისი ხელმისაწვდომი მოცულობა (საწყისი ATC) უფრო ნაკლებია, ვიდრე წინასწარი პრიორიტეტულობით გადანაწილებული მოცულობა ან/და ასეთი მოცულობების ჯამი, როგორც ეს განსაზღვრულია „ბაზრის წესების“ მე-14<sup>1</sup> მუხლის მე-17 პუნქტით;

ბ) კალენდარული წლის 1 ნოემბრიდან მომდევნო მე-16 სამუშაო დღის მდგომარეობით არსებულ ნარჩენ ხელმისაწვდომ მოცულობას (ნარჩენი ATC) – იმ შემთხვევაში, რომლებიც განსაზღვრულია „ბაზრის წესების“ მე-14<sup>1</sup> მუხლის 23-ე პუნქტით;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული შემთხვევის გარდა, ნებისმიერ სხვა ნარჩენ ხელმისაწვდომ მოცულობას (ნარჩენი ATC), თუ იგი აღემატება ნულს საანგარიშო კალენდარული წლის ერთი ან/და რამოდენიმე საანგარიშო პერიოდისთვის, ამასთან აღნიშნული ნარჩენი ხელმისაწვდომი მოცულობის განაწილება ხორციელდება წინამდებარე წესების მიხედვით;

დ) ნებისმიერი მომენტისთვის ALC“-ის სრულად ან ნაწილობრივ გამოთავისუფლების შედეგად წარმოქმნილ ხელმისაწვდომ ATC-ს მოცულობას, აუქციონი ტარდება მხოლოდ

ასეთი გამოთავისუფლებული „ALC“-ის მოცულობაზე და მისი გამოთავისუფლების პერიოდზე;

ე) არაგეგმიური შეზღუდვის („NTC“ შემცირება ან „NAC“ გაზრდა) შედეგად ხელახლა განსაზღვრულ „CAA“-ს სათანადო მოცულობას/მოცულობებს, თუ საანგარიშო კალენდარული წლის განმავლობაში ადგილი აქვს საქართველოს კანონმდებლობით ან საქართველოსა და მეზობელი ქვეყნის ენერგოსისტემების დისპეტჩერიზაციაზე უფლებამოსილ დაწესებულებათა შორის შეთანხმებით გათვალისწინებული სპეციფიკური გარემოებების გამო „NTC“-ის შემცირებას ან/და „NAC“-ის გაზრდას იგივე გარემოებების გამო და საჭირო ხდება „ALC“-ის განტვირთვა, პრიორიტეტულობის ჯგუფებისთვის დადგენილი რიგის მიხედვით. აუქციონი ასეთ შემთხვევაში ცხადდება იმ საანგარიშო პერიოდზე (საანგარიშო კალენდარული წლის კალენდარული თვე, თვეები, ან თვის შიგნით დღეები), რომელზეც ვრცელდება არაგეგმიური შეზღუდვა („NTC“ შემცირება ან „NAC“ გაზრდა). ამ შემთხვევაში, ანულირდება შეზღუდვის ქვეშ მყოფი პერიოდისთვის უკვე განაწილებული გამტარუნარიანობის მოცულობები იმ მონაწილეებისთვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ბაზრის წესების მე-14<sup>1</sup> მუხლის მე-9<sup>1</sup> პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პრიორიტეტულობის ჯგუფს, ხოლო თუ ასეთი ანულირება არ არის საკმარისი „ALC“-ის საჭირო დონეზე განტვირთვისთვის, მაშინ გამტარუნარიანობის მოცულობები ანულირდება აგრეთვე იმ მონაწილეებისთვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ბაზრის წესების მე-14<sup>1</sup> მუხლის მე-9<sup>1</sup> პუნქტით განსაზღვრულ მომდევნო ზემდგომ პრიორიტეტულობის ჯგუფს, „ALC“-ის საჭირო დონეზე განტვირთვამდე.

3. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ატარებს აუქციონს „CAA“-ზე ამ მუხლის პირველი პუნქტში მითითებული პრიორიტეტულობის ჯგუფების (შემდგომში - პრიორიტეტულობის ჯგუფი) გათვალისწინებით.

#### **მუხლი 4. აუქციონის გამოცხადების და მონაწილედ რეგისტრაციის პროცედურა**

1. აუქციონის გამოცხადება ხორციელდება საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე ჩვიდმეტი (17) სამუშაო დღით ადრე აუქციონის ვებ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსებით. ამ წესების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უკვე დაწყებული საანგარიშო პერიოდის ფარგლებში აუქციონის გამოცხადება შესაძლებელია საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე არაუგვიანეს 8 სამუშაო დღით ადრე.

2. აუქციონის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

ა) CAA-ს მოცულობას/მოცულობებს, კონკრეტული საანგარიშო პერიოდის/პერიოდების, ან/და დროის სხვა მონაკვეთების მითითებით;

ბ) ინფორმაციას იმ პირთა შესახებ, რომლებსაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ აუქციონში;

გ) განაცხადების მიღების პერიოდს, მიღების ბოლო თარიღის (ან/და დროს) მითითებით;

დ) აუქციონის ჩატარების თარიღს კონკრეტული დროის მითითებით და ადგილს. აუქციონის დღე არ შეიძლება ემთხვეოდეს დასვენების ან/და უქმე დღეს.

ე) ზეპირ ვაჭრობაზე ფასის მატების ბიჯის ოდენობას.

3. პრეტენდენტმა, რომელსაც სურს აუქციონში მონაწილეობა, აუქციონის გამოცხადებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში (განაცხადის წარდგენის ვადა) უნდა უზრუნველყოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის ვებ-გვერდზე შესაბამისი აპლიკაციის

მეშვეობით აუქციონის წესების დანართი №1-ით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად შევსებული განაცხადის ატვირთვა.

4. განაცხადის გარდა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს უნდა წარედგინოს:

ა) ბაზრის წესების მე-14<sup>1</sup> მუხლის მე-20 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტები, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი დოკუმენტები უკვე წარდგენილია ხელმისაწვდომი მოცულობის აუქციონის გარეშე განაწილების ეტაპზე და მათი წარდგენიდან არ გასულა ერთი თვე;

ბ) სააუქციონო ზეპირ ვაჭრობაში მონაწილე პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა/ რწმუნებულება და აშ), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სააუქციონო ზეპირ ვაჭრობაში მონაწილეობას იღებს თავად ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე მოქმედი კანონმდებლობით უფლებამოსილი პირი<sup>5</sup>. პრეტენდენტს უფლება აქვს შეცვალოს ატვირთული განაცხადი და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისთვის წარდგენილი დოკუმენტაცია განაცხადის წარდგენის ვადის ამოწურვამდე.

6. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი განაცხადის წარდგენის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს სამი (3) სამუშაო დღის ვადაში (რეგისტრაციის ვადა) ამოწმებს წარმოდგენილ განაცხადს და მასთან ერთად წარდგენილ დოკუმენტაციას ამ წესებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არეგისტრირებულ განაცხადს ან უარს აცხადებს მის რეგისტრაციაზე.

7. განაცხადის რეგისტრაციაზე უარი დაიშვება, თუ:

ა) განაცხადი არ შეესაბამება აუქციონის წესებით ან/და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან არ არის წარმოდგენილი სრულად (მათ შორის არ არის სათანადოდ წარდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია);

ბ) წარმოდგენილი ინფორმაციიდან ნათელია, რომ მონაწილე იმყოფება გაკოტრების რეჟიმში ან ლიკვიდაციის პროცესში, ან/და აქვს საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა;

გ) მონაწილეს აქვს ვადაგადაცილებული დავალიანება დისპეტჩერიზაციის ან/და გადაცემის ლიცენზიატის მიმართ.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი დასაბუთებულ უარს აცხადებს განაცხადის რეგისტრაციაზე, რის გამოც პრეტენდენტი ვერ მიიღებს მონაწილეობას აუქციონის პროცესში.

9. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, რეგისტრაციის ვადის გასვლისთანავე აქვეყნებს იმ მონაწილეთა სიას, რომელთა განაცხადებებიც რეგისტრირებული და დაშვებულია აუქციონზე.

10. მონაწილეს უფლება აქვს აუქციონის ჩატარების დღემდე უკან გაიხმოს თავისი განაცხადი. განაცხადის გახმობა აუქციონის ჩატარების დღეს არ დაიშვება.

11. მონაწილეების აუქციონში რეგისტრაცია ძალაშია მხოლოდ მოცემული აუქციონის და მისი შედეგების მიზნებისთვის. ახალი აუქციონის პროცედურების დაწყებისას, პრეტენდენტი ვალდებულია ხელახლა გაიაროს რეგისტრაცია დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

12. რეგისტრაციის ვადის ამოწურვის დღის მომდევნო სამუშაო დღე წარმოადგენს აუქციონის გამართვის დღეს.

## **მუხლი 5. აუქციონის ვებ-გვერდი**

1. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია უზრუნველყოს აუქციონის ვებ-გვერდის გამართული ფუნქციონირება და მისი მართვა.

2. აუქციონის ვებ-გვერდი უნდა იძლეოდეს შემდეგ დოკუმენტებთან და ინფორმაციებთან თავისუფალი წვდომის შესაძლებლობას:

ა) საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანებით დამტკიცებული “ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესები”;

ბ) აუქციონის წესები;

გ) “NTC”;

დ) „CAA” შესაბამისი პერიოდებისთვის;

ე) ექსპორტორთა მიერ შესავსები დოკუმენტების ფორმები და ნიმუშები;

ვ) „AAC”;

ზ) ინფორმაცია აუქციონის გამოცხადების შესახებ;

თ) საკონტაქტო პირთა ვინაობა, თანამდებობა, ტელეფონის და ფაქსის ნომრები, ასევე ელ.ფოსტის მისამართები;

ი) აუქციონის შედეგები, რომელშიც მოცემული უნდა იყოს მონაწილეების სია შესატყვისი პრიორიტეტის ჯგუფის, მათ მიერ გაკეთებულ განაცხადებში დაფიქსირებული მოცულობისა და ფასის მითითებით და გამარჯვებული მონაწილეების სია, მათზე განაწილებული „CAA” -ს ოდენობების და საბოლოო ფასის მითითებით;

კ) სხვა ის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია აუქციონთან და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი საჭიროდ თვლის მის გამოქვეყნებას და ასეთი ინფორმაციის გამოქვეყნება არ იკრძალება კანონმდებლობით.

## **მუხლი 6. პრეტენდენტის განაცხადი**

1. პრეტენდენტის განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) რეკვიზიტები (დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი (ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადი ნომერი), ფაქტიური მისამართი, საკონტაქტო მონაცემები);

ბ) მითითება იმის შესახებ, თუ პრიორიტეტულობის რომელ ჯგუფს მიეკუთვნება მონაწილის მიერ ექსპორტზე, ან/და ტრანზიტზე გასატანი ელექტროენერჯია (ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მწარმოებლების და მათი შესაბამისი გენერაციის ობიექტების მითითებით), ამასთან:

ბ.ა.) თუ მონაწილეს ექსპორტზე ან/და ტრანზიტზე გააქვს რამდენიმე პრიორიტეტულობის ჯგუფის ელექტროენერჯია, იგი ვალდებულია თავისი განაცხადით გათვალისწინებული მოცულობა დაყოს აღნიშნული პრიორიტეტულობის ჯგუფების მიხედვით, წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადის განხილვა არ მოხდება;

გ) „CAA” -ს მისთვის სასურველი მოცულობა, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს გამოქვეყნებულ „CAA”-ს და მის მიერ ელ.ენერჯის ექსპორტზე პირდაპირი ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდულ მოცულობას. სასურველი მოცულობა უნდა იყოს ჩაშლილი კონკრეტული საანგარიშო პერიოდის მიხედვით:

გ.ა) შესაბამისი თვისთვის (თვეებისთვის) მინიმალური, მაქსიმალური და საშუალო სიმძლავრეები, მათი გამოყენების საათების რაოდენობის მითითებით;

გ.ბ) საანგარიშო თვის შიგნით ტიპიური საათობრივი გრაფიკით;

დ) გადაცემის უფლების მინიჭებისთვის შემოთავაზებული ფასი – მოცულობის 1 მგვტ.სთ-ის ფასი ლარში დღგ-ს გარეშე;

2. განაცხადის ატვირთვით პრეტენდენტი ადასტურებს თავის თანხმობას აუქციონის წესებთან და მოთხოვნებთან დაკავშირებით.

### **„მუხლი 7. სააუქციონო ზეპირი ვაჭრობის ჩატარების და გადაწყვეტილების მიღების წესი**

1. აუქციონის გამართვის დღეს, აუქციონის გამართვის ადგილზე ტარდება ზეპირი ვაჭრობა შემდეგი წესით:

ა) ზეპირი ვაჭრობა იმართება ბაზრის წესებით დადგენილი შესაბამისი პრიორიტეტულობის ჯგუფების მიხედვით ელექტროენერჯის გადაცემის უფლების მინიჭების თაობაზე. ზეპირ ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლება აქვს მოქმედი კანონმდებლობით აუქციონში მონაწილის ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს, ან სააუქციონო ზეპირ ვაჭრობაში მონაწილის წარმომადგენლობაზე შესაბამისი დოკუმენტის (მინდობილობა/რწმუნებულება) საფუძველზე სპეციალურად უფლებამოსილ – რწმუნებულ პირს.

ბ) ზეპირი ვაჭრობა იმართება სამ რაუნდად, რაც გულისხმობს აუქციონის მონაწილის უფლებას ზეპირი ვაჭრობისას სამჯერ განახორციელოს თავის მიერ დაფიქსირებული ფასის გაზრდა, არანაკლებ დადგენილი ბიჯის ოდენობით. მონაწილეს ნებისმიერ რაუნდში უფლება აქვს უარი თქვას მის მიერ წარმოდგენილი ფასის გაზრდაზე. ამ შემთხვევაში, ზეპირ ვაჭრობაში იგი მონაწილეობას მიიღებს განაცხადში ან ზეპირი ვაჭრობისას მის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასით. თითოეულ რაუნდზე ფასის მატებას (არანაკლებ ბიჯის ოდენობით თითოეულ რაუნდზე) იწყებს შესაბამისი პრიორიტეტულობის ჯგუფში ყველაზე დაბალი ფასის წარმომდგენი მონაწილე და რიგითობის პრინციპით აგრძელებს უფრო მაღალი ფასის წარმომდგენი მონაწილე. თითოეული მონაწილის საბოლოო ფასი განისაზღვრება ზეპირი ვაჭრობის მესამე რაუნდის დასრულების შემდეგ მონაწილეთა მიერ დაფიქსირებული ფასების შესაბამისად;

გ) „CAA” -ს მოცულობის განაწილება იწყება ზეპირი ვაჭრობის სამი რაუნდის შედეგების დაფიქსირების შემდეგ, შესაბამისი პრიორიტეტულობის ჯგუფის იმ მონაწილისგან, რომელიც ზეპირ ვაჭრობაში დააფიქსირებს ყველაზე მაღალ საბოლოო ფასს. პირველ რიგში, კმაყოფილდება უმაღლესი საბოლოო ფასის მქონე მონაწილის განაცხადი. იმ შემთხვევაში თუ უმაღლესი საბოლოო ფასის მონაწილის განაცხადის დაკმაყოფილების შემდეგ კვლავ რჩება „CAA”-ს თავისუფალი მოცულობა, იგი უნაწილდება სიდიდით შემდგომი საბოლოო ფასის მქონე მონაწილეს და ამ „CAA”-ს თავისუფალი მოცულობის ამოწურვამდე.

დ) ორი ან მეტი მონაწილის მიერ ერთი და იგივე ოდენობის საბოლოო ფასის დაფიქსირების შემთხვევაში, თუ „CAA” -ს მოცულობა უნდა განაწილდეს მათ შორის და ეს მოცულობა არ არის საკმარისი ასეთ მონაწილეთა სრულყოფილად დაკმაყოფილებისათვის, აღნიშნული მოცულობა განაწილდება თანაბარი ფასის წარმომდგენ მონაწილეთა მოთხოვნათა პროპორციულად.

ე) გადაცემის უფლების მინიჭებისთვის თითოეული გამარჯვებული მონაწილისათვის საფასური განისაზღვრება მის მიერ ზეპირ ვაჭრობაზე საბოლოოდ შემოთავაზებული

საბოლოო ფასის გამრავლებით „CAA” -ს იმ მოცულობაზე (მგვტ.სთ-ებზე), რომელიც მას მიენიჭა.

ვ) იმ შემთხვევაში, თუ აუქციონის ჩატარებისას განაცხადებით მოთხოვნილი ჯამური მოცულობა ნაკლებია „CAA” -ს აუქციონზე გამოტანილ მოცულობაზე, ასეთ შემთხვევაში ზეპირი ვაჭრობა არ იმართება და მონაწილეებს მოცულობები უნაწილდებათ მათი მოთხოვნის შესაბამისად, ელექტროენერჯის გადაცემის უფლების მინიჭებისათვის რაიმე დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე.

ზ) იმ შემთხვევაში, თუ აუქციონის ჩატარებისას ერთი უპირატესი რიგის პრიორიტეტულობის ჯგუფის ფარგლებში რეგისტრირებული განაცხადებით მოთხოვნილი ჯამური მოცულობა ნაკლებია „CAA”-ს აუქციონზე გამოტანილ მოცულობაზე, ასეთ შემთხვევაში ზეპირი ვაჭრობა აღნიშნული პრიორიტეტულობის ჯგუფის ფარგლებში არ იმართება და ამ ჯგუფიდან მონაწილეებს მოცულობები უნაწილდებათ მათი მოთხოვნის შესაბამისად, ელექტროენერჯის გადაცემის უფლების მინიჭებისათვის რაიმე დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე.

თ) იმ შემთხვევაში, თუ აუქციონის ჩატარებისას (მთლიანობაში ან ერთი უპირატესი რიგის პრიორიტეტულობის ჯგუფის ფარგლებში) რეგისტრირებული განაცხადის წარმდგენი მონაწილე მხოლოდ ერთია, ხოლო მისი განაცხადით მოთხოვნილი ჯამური მოცულობა აღემატება „CAA” -ს აუქციონზე გამოტანილ მოცულობას, ასეთ შემთხვევაში ზეპირი ვაჭრობა (მთლიანობაში ან შესაბამისი პრიორიტეტულობის ჯგუფის ფარგლებში) არ იმართება და ერთპიროვნულ მონაწილეს მიეკუთვნება „CAA”-ს აუქციონზე გამოტანილი მთელი მოცულობა, ელექტროენერჯის გადაცემის უფლების მინიჭებისათვის რაიმე დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე.

ი) ზეპირი ვაჭრობისას რომელიმე (ან ყველა) მონაწილის გამოუცხადებლობის შემთხვევაში აუქციონში (ზეპირ ვაჭრობაში) მონაწილეობს მონაწილეთა მიერ განაცხადით წარმოდგენილი ფასი.

კ) ზეპირ ვაჭრობაზე მონაწილის მიერ შემოთავაზებული ფასის მის მიერვე შემცირება არ დაიშვება.

ლ) ზეპირი ვაჭრობის ორგანიზებასა და ჩატარებას უზრუნველყოფს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი.

2. აუქციონის შემდეგ რომელიმე გამარჯვებული მონაწილის მიერ მისთვის მინიჭებულ გადაცემის უფლებაზე უარის თქმის შემთხვევაში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია გადაცემის უფლება „CAA”-ს შესაბამისი ოდენობა შესთავაზოს შესაბამისი პრიორიტეტულობის ჯგუფის (იგივე პრიორიტეტულობის ჯგუფიდან სხვა მონაწილის არარსებობისას, მომდევნო პრიორიტეტულობის ჯგუფის) იმ მონაწილეს, რომელმაც ზეპირი ვაჭრობისას დააფიქსირა გამარჯვებული მონაწილ(ებ)ის შემდეგ ყველაზე მაღალი ფასი. ასეთი მონაწილე საფასურს აანაზღაურებს მის მიერ ზეპირ ვაჭრობის დასრულებისას დაფიქსირებული საბოლოო ფასის შესაბამისად. ასეთი მონაწილის მიერ „CAA”-ს გამოთავისუფლებულ ოდენობაზე მთლიანად უარის თქმის ან მხოლოდ ნაწილის მიღების შემთხვევაში, „CAA”-ს დარჩენილ გამოთავისუფლებულ ოდენობაზე შეთავაზება შეიძლება მიეცეს პრიორიტეტულობის ჯგუფისა და ფასის მიხედვით მომდევნო მონაწილეს (აუქციონში მის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასის გადახდის პირობით) და ა.შ.

## **მუხლი 8. აუქციონის ჩაშლა, აუქციონის შეწყვეტა.**

1. აუქციონი ჩაშლილად (არშემდგარად) ითვლება, როდესაც:

ა) არცერთი პრეტენდენტი დადგენილ ვადაში არ შეიტანს განაცხადს ელექტროენერჯის გადაცემის უფლების მინიჭებისათვის;

ბ) ამ წესების მე-4 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად ყველა მონაწილე უკან გაიხმობს თავის განაცხადს;

2. აუქციონი შეწყვეტილად ითვლება, როდესაც:

ა) არც ერთი წარდგენილი განაცხადი არ დარეგისტრირებულა ამ წესების მე-4 პუნქტით დადგენილი პროცედურების შესაბამისად;

ბ) ახალი ელექტროგადამცემი ხაზის ოპერირებასთან დაკავშირებით საქართველოსა და შესაბამის მეზობელ ქვეყანას შორის დადებული საერთაშორისო შეთანხმებების, ასევე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატსა და შესაბამისი მეზობელი ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სისტემის ტექნიკურ ოპერატორს შორის გაფორმებული შეთანხმებების ფარგლებში, ასევე ავარიული, ფორს-მაჟორული ან სხვა გარემოებების გამო არაგეგმიურად შეიზღუდა აუქციონზე გამოტანილი „CAA“.

### **მუხლი 9. აუქციონის შედეგების გამოცხადება.**

1. აუქციონის შედეგები ქვეყნდება აუქციონის გამართვის დღიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

2. აუქციონის შედეგები ქვეყნდება საჯარო გამოცხადებით, რაც გულისხმობს აუქციონის ვებ გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსებას, რომელიც მათ შორის მოიცავს:

ა) ინფორმაციას CAA-ს განაწილების შესახებ;

ბ) ინფორმაციას აუქციონის შედეგების მიხედვით განახლებული ATC-ის, AAC-ის და ALC-ის შესახებ.

### **მუხლი 10. ანგარიშსწორება**

1. გამარჯვებული მონაწილე „CAA“-ს შესაბამის მოცულობაზე გადაცემის უფლების მინიჭებისთვის აანაზღაურებს აუქციონის შედეგად განსაზღვრულ საფასურს.

2. აუქციონის შედეგად დადგენილი ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის განაწილება/გადანაწილების უზრუნველყოფის დამატებითი საფასური წარმოადგენს ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელი გადაცემის შესაბამისი ლიცენზიატის შემოსავლის დამხმარე წყაროს.

3. ანგარიშსწორება შეიძლება განხორციელდეს წინასწარი გადახდით, ან გადასახდელი საფასურის სრულ ოდენობაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენით, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია თანხის ეტაპობრივი გადახდა. საფასურის წინასწარი გადახდის, ასევე საბანკო გარანტიის წარმოდგენის და გამოყენების პირობები და ვადები განისაზღვრება სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელ გადაცემის ლიცენზიატთან გაფორმებული გადაცემის მომსახურებაზე ხელშეკრულებით.

### **მუხლი 11. პასუხისმგებლობა**

1. გამარჯვებული მონაწილის მიერ მასზე განაწილებული „CAA“-ს მოცულობის გამოყენებლობის შემთხვევაში, მისი პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი



კანონმდებლობითა და ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზიატთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული მონაწილე სრულად, ან ნაწილობრივ უარს აცხადებს მასზე განაწილებული „CAA“-ს მოცულობის გამოყენებაზე, მას არ დაუბრუნდება ამ წესების მე-10 მუხლის შესაბამისად წისწარ გადახდილი საფასური, ხოლო თუ წინასწარი გადახდის ნაცვლად წარმოდგენილია საბანკო გარანტია, განხორციელდება გარანტიის რეალიზება გამოუყენებელი „CAA“-ს მოცულობაზე გადასახდელი საფასურის ოდენობის შესაბამისად.

3. თუ გამარჯვებული მონაწილე სრულად, ან ნაწილობრივ უარს აცხადებს მასზე განაწილებული „CAA“-ს მოცულობის გამოყენებაზე და ამთანავე, მის მიერ ამ წესების მე-10 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად არ განხორციელებულა საფასურის წინასწარი ანაზღაურება და არც საბანკო გარანტიის წარმოდგენა, ასეთი გამარჯვებული ვალდებულია აუნაზღაუროს სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელ გადაცემის ლიცენზიატს საჯარიმო თანხა, მის მიერ გამოუყენებელი „CAA“-ს მოცულობაზე გადასახდელი საფასურის ოდენობის შესაბამისად.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ვრცელდება აუქციონის ყველა იმ მონაწილეზე, რომელზეც განაწილებულ იქნა „CAA“-ს მოცულობა აუქციონის წესების მიხედვით.

5. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის განაწილება/გადანაწილების სპეციალური აუქციონი წარმართოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებისა და ამ წესებით დადგენილი პროცედურების განუხრელი დაცვით. ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.

## **მუხლი 12. პასუხისმგებლობის შეზღუდვა, პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება**

1. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი პასუხს არ აგებს იმ ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს აუქციონის მონაწილეებს, სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელს, ან მესამე მხარეს რომელიმე მონაწილის აუქციონში მონაწილეობით, ან/და „CAA“-ს განაწილებით, ან/და აუქციონის შედეგებით, ან/და აუქციონის ჩაშლით, შეწყვეტით ან/და შეჩერებით ან/და აუქციონის შედეგების ანუღირებით, თუ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის გადაწყვეტილება მიღებულია ან მოქმედება განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

2. აუქციონის შესაბამისი მონაწილე ვალდებულია დაიცვას დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი დავისაგან.

3. აუქციონის ყველა მონაწილეზე სრულად ვრცელდება სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის ოპერირებასთან დაკავშირებით საქართველოსა და შესაბამის მეზობელ ქვეყანას შორის დადებული საერთაშორისო შეთანხმებების, ასევე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატსა და

შესაბამისი მეზობელი ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სისტემის ტექნიკურ ოპერატორს შორის გაფორმებული შეთანხმებების მოთხოვნები.

### **მუხლი 13. დასკვნითი დებულებები**

1. აუქციონთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

2. აუქციონის წესები არ ზემოქმედებს საქართველოში დადგენილი ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის მომსახურების ტარიფებზე ან/და მათი გადახდის პირობებზე.